განმარტებითი ბარათი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტზე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ, 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების და წინადადებების შესახებ გაცნობებთ, მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის გამოთქმულ მოსაზრებებს გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ:

1. ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს " მიერ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით:

2020 წელს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსება განხორციელდება ეტაპობრივად, ბიუჯეტის შემოსულობებისა და არსებული ფინანსური რესურსის გათვალისწინებით. თანადაფინანსების ნაწილში ბინათმესაკუთრეთა წილის 15% - დან 10% - მდე შემცირება ამ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული.

სოფელ ხომულში დარჩენილი გზის 500 მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია მოხდება შესაძლებლობის ფარგლებში ბიუჯეტის შემოსულობების გათვალისწინებით.

სოფელ ზედა მესხეთში გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის პროექტი მზადაა, ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ დაფინანსების გამოყოფის თაობაზე საკითხი ინიცირებული იქნება სამსახურის მიერ.

სოფელ ხომულში მდებარე წმინდა გიორგის ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ამ ეტაპზე არ არის დაგეგმილი.

2. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების" მიერ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით:

მაღალმთიან დასახლებებში ინფრასტრუქტურის განვთარებისათვის 2020 წელს დაგეგმილია ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა, რომელიც მთლიანად იქნება მიმართული მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში, კერძოდ მექვენისა და დღნორისას თემებში გზების რეაბილიტაციისათვის.

მუნიციპალიტეტის მერია მოიძიებს ინფორმაციას ინერტულ მასალების გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით და კომპეტენციის ფარგლებში გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

3. ფრაქცია ,,ქართული ოცნება- მწვანეების“ ფრაქციის სხდომაზე დასმულ საკითხებთან დაკავშირებით:

სოფლების სორმონის, ჭოლევის და ზარათის მიმართულებით მოსახლეობის გაზიფიცირების საკითხზე მუშაობა დაწყებული აქვს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას.

ქუთაისი - სორმონის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია ამ ეტაპზე არ იგეგმება.

სოფელ ყუმისთავში სვანიძეების უბანში და სოფელ ცხუნკურში ჩირგაძეების უბანში გზების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესყიდულია, პროექტები გადის ექსპერტიზას.

4. საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან და წინადადებებთან დაკავშირებით:

სოფელ ტყაჩირში, ბოჭორიშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია გათვალისწინებულია და განხორციელდება 2020 წელს რგფ-ის დაფინანსებით. პროექტის ღირებულება 4400 00 ლარის ფარგლებშია. შეტანილია მუნიციპალიტეტის 2018-2021 წწ სამოქმედო გეგმაში და რგფ-ს მიერ განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში.

სოფელ გეგუთში ამბულატორიის ჭიშკრის შეკეთების, ჭიშკრიდან შენობამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია განხორციელდება 2020 წელს რგფ-ის მიერ ,,ამბულატორიების რეაბილიტაციის“ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი დაფინანსების გამოყოფისთანავე.

სოფ. საყულიაში ცენტრალურ გზაზე გარე განათების მოწყობა შესაძლებელია განხორციელდეს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“-ს ფარგლებში.

სოფ. გვიშტიბში ჩავჩიძეების და სოფ. პირველ წყალტუბოში ფაილოძეების უბნებში გზების რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფა გათვალისწინებული

იქნება შესაძლებლობის ფარგლებში, ბიუჯეტის შემოსულობების გათვალისწინებით.

სოფელ ზედა მესხეთში გამსახურდიას ქუჩიდან სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდება 2020 წლის პირველ ნახევარში. სხვა

მიმარღულებებზე გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო ხარჯები გამოყოფილი იქნება ბიუჯეტის შემოსულობების გათვალისწინებით.

სოფელ ოფშკვითში, მეორე უბანში - კაპანაძეების უბანში გზის რეაბილიტაციის საკითხი გათვალისწინებული იქნება შესაძლებლობის ფარგლებში, ბიუჯეტის შემოსულობების გათვალისწინებით.

დღნორისას ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათების მოსაწყობად 80 000 ლარია გამოყოფილი. სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი გამოცხადდება მ/ წლის ბოლომდე.

შენიშვნა - წინადადებებში აღნიშნული სხვადასხვა ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად და წრეების დაფინანსების მიზნით ა(ა)პ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის, ა(ა)პ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების, ა(ა)პ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის, ა(ა)პ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის, ა(ა)პ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების დაფინანსების გაზრდა და ასევე ა(ა)იპ-ებში ხელფასების ზრდა გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში შესაძლებლობის ფარგლებში.

ა(ა)პ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ,,სათნოების სახლი“ ახალ სერვის ,,შინ მომსახურებას“ განახორციელებს გამოყოფილი სუბსიდიის ფარგლებში.

აქვე გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 15752,0 ათასი ლარით და 2019 წელთან შედარებით შემოსულობები გაიზარდა 3522,0 ათასი ლარით (გეგმა 12230, ათასი ლარი), შემოსულობების ზრდა გამოწვეულია ცენტრალური ბიჯეტიდან მისაღები შემოსულობებისა და ადგილობრივი შემოსავლების გაზრდით;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 04 ოქტომბრის N04-03/107269 მომართვის თანახმად, ,,საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტში წყალტუბოს მუნიციპალიტეტს სულ გამოეყო 12451,6 ათასი ლარი, აქედან დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 9851,6 ათას ლარს, მიზნობრივი ტრანსფერი 170.0 ათასი ლარი და შემოსავლები გადასახადებიდან 2600,0 ათას ლარს.

სხვა შემოსავლების 2020 წლის გეგმა 2019 წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია 1051,6 ათასი ლარით და შეადგენს 3030,4 ათ. ლარს.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობები 2020 წელს და 2019 წელს დაიგეგმა 100,0 ათასი ლარი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, განისაზღვროს 2020 წლის შემოსულობების გეგმა 15752,0 ათასი ლარით. მათ შორის:

ა) დღგ - 9851,6 ათასი ლარი,

ბ)გადასახადები - 2600.0 ათასი ლარი,

აქედან:

- ქონების გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე - 2000.0 ათასი ლარი;
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 10.0 ათასი ლარი;
- ქონების გადასახადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 190,0 ათასი ლარი.
- ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 400.0 ათასი ლარი.

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებული ტრანსფერები - 170,0 ათასი ლარი, აქედან:

- დამატებული ღირებულების გადასახადი - 9851,6 ათასი ლარი;
- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 170.0 ათასი ლარი;

გ) სხვა შემოსავლები - 3030,4 ათასი ლარი, აქედან:

- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 200.0 ათასი ლარი;
- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) - 20.0 ათასი ლარი;
- სანებართვო მოსაკრებელი - 40,0 ათასი ლარი.
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 1000,0 ათასი ლარი.
- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 150,0 ათასი ლარი;
- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება - შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 70,0 ათასი ლარი;
- ჯარიმები, სანქციები და საურავები - 1550,4 ათასი ლარი;

დ) არაფინანსური აქტივების კლება - 100.0 ათასი ლარი;,

აქედან:

- ძირითადი აქტივები - 20,0 ათასი ლარი;
- არაწარმოებული აქტივები (მიწა) – 80,0 ათასი ლარი.

2. 2020 წლიდან დაიწყო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტირების მეთოდით დაგეგმვა, რაც გულისხმობს იმას, რომ 2020 წლიდან ბიუჯეტის კანონში ყურადღება გამახვილებული იქნება დაგეგმილი პროგრამების მოსალოდნელ შედეგებზე და მისი შესრულების შეფასების მაჩვენებლებზე და არა მხოლოდ გამოყოფილ ასიგნებებზე. პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი მიზანი არის ის, თუ რამდენად კარგად იქნება წარმოდგენილი ის შედეგი რისთვისაც აღნიშნული პროგრამა განხორციელდება. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
00 00	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა
01 01 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
01 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადება
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები
01 02 01	სარეზერვო ფონდი
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწ. აღსრულებების ფონდი
01 02 03	მოქალაქეთა ჩართულობა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება
02 01 04	ხიდების და ბოგირების მშენებლობა
02 02	წყლის სისტემების განვითარება
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა
02 03	გარე განათება
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია
02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები
02 06 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი

02 06 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია
02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება
04 00	განათლება
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება
04 03	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
05 01 01	სპორტული ღონისძიებები
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა
05 01 02 01	წყალტუბო არენა
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება
05 01 02 03	საფეხბურთო კლუბი სამგურალი
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა
05 02	კულტურის სფეროს განვითარება
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი
05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი
05 02 02	კულტურული ღონისძიებები
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
06 01	ჯანმრთელობის დაცვა
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა
06 02	სოციალური პროგრამები
06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი
06 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება

02	
06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება

ყველაზე მთავარი ცვლილება რაც მოხდა პრიორიტეტების განსაზღვრისას არის ის, რომ სამხედრო სამსახურის დაფინანსება ამოღებულია პრიორიტეტებიდან და ქვეპროგრამის სახით შესულია მმართველობისა და საერთო დანიშნულების პრიორიტეტში - 01 00 ; 02 00 - პრიორიტეტზე გადაინაცვლა ინფრასტრუქტურის განვითარებამ, ხოლო 03 00 - პრიორიტეტზე გადავიდა დასუფთავება და გარემოს დაცვა, რომელიც გამოვიდა ინფრასტრუქტურის პრიორიტეტიდან. 04 00 პრიორიტეტზე კვლავ განათლება დარჩა, 05 00 პრიორიტეტზე - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი თავისი პროგრამებით, ქვეპროგრამებითა და ღონისძიებებით, ხოლო 06 00 - ისევ ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტს უჭირავს, რომელსაც სოციალური დაცვის პროგრამაში დაემატა ახალი ქვეპროგრამები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართელი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 15572,0 ათასი ლარით;

მათ შორის:

01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 3839,8 ათასი ლარი, მათ შორის:

- 01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა-3257,4 ათასი ლარი;
- 01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულო - 856,7 ათასი ლარი;
- 01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია - 2270,3 ათასი ლარი.

- 01 01 03 სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური-107,9 ათასი ლარი;
- 01 01 04 კადრების მომზადება-გადამზადება-22,6 ათასი ლარი;
- 01 02 საერთო დანიშნულების ხარჯები-582,4 ათასი ლარი
- 01 02 01 სარეზერვო ფონდი-100,0 ათასი ლარი;
- 01 02 02 წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი-87,4 ათასი ლარი;
- 01 02 04 მოქალაქეთა ჩართულობა- 395,0 ათასი ლარი

02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება-4515,6 ათასი ლარი, მათ შორის:

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 2035,2 ათასი ლარი, აქედან:

- 02 01 01 გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება-1945,2 ათასი ლარი;

- 02 01 02 გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება - 50, 0 ათასი ლარი;

- 02 01 04 ხიდები და ბოგირების მშენებლობა- 40,0 ათასი ლარი;

02 02 წყლის სიტემების განვითარება 293,1 ათასი ლარი, აქედან:

02 02 01 სანიაღვრე სისტემის ექსპლოატაცია/რეაბილიტაცია -100,0 ათასი ლარი

02 02 02 სასმელი წყლით უზრუნველყოფა- 193,1 ათასი ლარი

02 03 გარე განათება- 558,0 ათასი ლარი

02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია- 350,0 ათასი ლარი

02 03 02 გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა-208,0 ათასი ლარი

02 05 - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვიტარება- 100,0 ათასი ლარი

02 06- კეთილმოწყობის ღონისძიებები- 1129,3 ათასი ლარი, აქედან:

02 06 01 -წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი- 929,3 ათასი ლარი

02 06 02-შენობების ფასადების რეაბილიტაცია-100,0 ათასი ლარი

02 06 03 საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია- 100,0 ათასი ლარი

02 08 საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა 150,0 ათასი ლარი.

02 09 სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება - 250,0 ათასი ლარი;

03 00 -დასუფთავება და გარემოს დაცვა- 1010,2 ათასი ლარი, აქედან:

03 01 -დასუფთავება და ნარჩენების გატანა- 970,2 ათასი ლარი

03 02 - უპატრონო ცხოველების ოპერირება - 40,0 ათასი ლარი

04 00- განათლება- 2791,0 ათასი ლარი, აქედან:

-04 01 საბავშვო ბაღების გაერთიანება - 2791,0 ათასი ლარი

05 00 კულტურა, რელიგია ახალგაზრდობა და სპორტი 2051,3 ათასი ლარი, აქედან:

05 01 სპორტის განვითარების ხელშეწყობა- 653,9 ათასი ლარი;

05 01 01 სპორტული ღონისძიებები-23,0 ათასი ლარი

05 01 02 სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა-530,9 ათასი ლარი

05 01 02 01 წყალტუბო არენა -104,3 ათასი ლარი

05 01 02 02 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება- 426,6 ათასი ლარი;

05 01 03 სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია (მოედნები)-100,0 ათასი ლარი

05 02 კულტურის სფეროს განვითარება - 1388,3 ათასი ლარი, მათ შორის:

05 02 01 კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა- 1210,9 ათასი ლარი

05 02 01 01 წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრობის ცენტრი -443,0 ათასი ლარი

05 02 01 02 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი-637,3 ათასი ლარი

05 02 01 03 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი- 130,5 ათასი ლარი

05 02 02 კულტურის ღონისძიებები- 77,4 ათასი ლარი

05 02 03 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა- 100,0 ათასი ლარი

05 03 ახალგაზრდობის მხარდაჭერა-9,1 ათასი ლარი

06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1544,1 ათასი ლარი. მათ შორის:

- 06 01 ჯანმრთელობის დაცვა - 92,5 ათასი ლარი,აქედან

-06 01 01 საზოგადოებრივი აჯნმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა- 92 ,5 ათასი ლარი

- 06 02 სოციალური პროგრამები - 1451,6 ათასი ლარი.

მათ შორის:

- 06 02 01 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ - 226,8 ათასი ლარი.

- 06 02 02 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება 2.0 ათასი ლარი.

- 06 02 03 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის - 95,0 ათასი ლარი.

- 06 02 04 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი - 9.0 ათასი ლარი.

- 06 02 05 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება - 455,7 ათასი ლარი.

- 06 02 06 ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი" – 118,5 ათასი ლარი.

- 06 02 07 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება - 502,6 ათასი ლარი.
- 06 02 08 სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება - 42,0 ათასი ლარი.

2020 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ 15752,0 ათასი ლარის გადასახდელებიდან ხარჯებში მიმართულია 11879,9 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 3816,5 ათასი ლარი.
ხარჯები 11879,9 ათასი ლარი მიმართულია:

- შრომის ანაზღაურებაზე - 2356,6 ათასი ლარი 19,8%.

- საქონელსა და მომსახურებაზე - 1370,4 ათასი ლარი, 11,5 %.

  მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 200,4 ათ. ლარი, 1.7 %;

მივლინება 47,1 ათ. ლარი , 0,4%;

ოფისის ხარჯები 256,2 ათ. ლარი, 2,2 %;

წარმომადგენლობითი ხარჯები 22,0 ათ. ლარი, 0,1 %;

ტრანსპორტის ხარჯები 133,6 ათ. ლარი, 1,1 %;

სხვა დანარჩენი საქ. და მომსახურების ხარჯი - 707.6 ათ. ლარი, 5,96%;

- სუბსიდიებზე - 6639,4 ათასი ლარი, 55,9 %;
- სოც.უზრუნველყოფაზე - 1078,1 ათასი ლარი, 9,1 %;
- სხვა ხარჯებზე - 403,6 ათ. ლარი 3,4 %.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ: /ფ.გაგოშიძე/